MES 2 23 0000461083

27/04/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.04.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 17:00
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი(III-VI)
სხდომის თავჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (I-II)
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე ;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
4. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

6. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. **მარინე მაისურაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. **ერმილე მესხია -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ლევან ნიკოლეიშვილი -** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ნინო ღაღანიძე -** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ლაშა ჩხარტიშვილი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **გურანდა ჭელიძე -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
17. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	საკითხი
1	ლია კურტანიძე	**შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**	ინფორმაციული ტექნოლოგიების და მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
2	ბესიკ ტაბატაძე		პროგრამის თანახელმძღვანელი	
3	რომეო გალდავა		პროგრამის თანახელმძღვანელი	
4	გულნარა ჯანელიძე		მონაცემთა მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	
5	ნონა ზუმბაძე		ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
6	ანა ფირცხალაშვილი		ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიართულებით	
7	ლევან კალანდარიშვილი		ვიცე-რექტორი ფინანსებისა და რესურსების მიართულებით	
8	ნინო ჯოჯუა	**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**	დოქტორი, პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	**II**
9	თეა კბილცეცხლაშვილი		დოქტორი, პრორექტორი სამეცნიერო მიმართულებით	
10	გიორგი წანაწყენიშვილი		დოქტორი, არქიტექტურის პროგრამის ხელმძღვანელი	
11	თეა თოდუა		დოქტორი, კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლის დეკანი	
12	თამთა ცხოვრებაძე		დოქტორი, პრორექტორი განათლების მიმართულებით	
13	ერეკლე მაღრაძე	**სსიპ - ილიას**	პროფესორი,	

		სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტექნოლოგიის სკოლის დირექტორი	**III-IV**
14	ნიკოლო ყაველაშვილი		ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	
15	პაატა გოგიშვილი		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	
16	ნინო ამირანაშვილი		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	
17	მაია ბიწაძე		ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
18	ანა თოფურია		ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	
19	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფსოსი	
20	თორნიკე კახელი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტი	
21	შორენა საძაგლიშვილი		პროფესორი, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	
22	ზვიად ზალიკიანი		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	
23	კახა შენგელია	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის პრეზიდენტი	**V**

24	ნუგზარ სხირტლაძე		ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	
25	ბორის ლეჟავა		ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	
26	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	
27	მარიამ მენაბდე		კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	
28	თინათინ ღუდუშაური	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი	**VI**
29	ალექსანდრე ჭულუხაძე		აგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
30	არჩილ ჯანგირაშვილი		დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები

№	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნანი არაბული	ჩაერთო „ზუმით“	**I**
2	მაქსიმ იავიჩი	ჩაერთო „ზუმით“	
3	მარინე ხიზანიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	
4	ია ნაცვლიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	
5	საბა ყაფლანიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	
6	ირმა ღარიბაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	**II**
7	სალომე ნამიჭეიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	**III**
8	ნათია ფარცხალაძე	ჩაერთო „ზუმით“	
9	მანანა ხაჩიძე	ჩაერთო „ზუმით“	**IV**
10	ალექსანდრე წაქაძე	ჩაერთო „ზუმით“	**V**
11	თინათინ გაბრიჩიძე	ჩაერთო „ზუმით“	

12	დარეჯან გარდავაძე	ჩაერთო „ზუმით“	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "მონაცემთა მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის", "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაცია.
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მუშაობის" სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (საერთაშორისო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "აღმოსავლეთმცოდნეობის" საბაკალავრო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· დიახ

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "მონაცემთა მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის", "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაცია.
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მუშაობის" სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა

(„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (საერთაშორისო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "აღმოსავლეთმცოდნეობის" საბაკალავრო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

პირველი საკითხი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "მონაცემთა მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის", "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N9 თბილისი 0144 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N9 თბილისი 0144 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მონაცემთა მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N9 თბილისი 0144 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარე გოდერძი ბუჩაშვილმა.

შესაბამისად აკრედიტაციის დებულების მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვნელა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ნანი არაბულმა განიხილა დასკვნა, რომელშიც შეფასებულია სამი პროგრამა: „მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და „მონაცემთა მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტი ამ სამ პროგრამაზე განხორციელდა 2023 წლის 6-7 თებერვალს. მან აღნიშნა, რომ სამუშაო გარემო იყო მშვიდი და კოლეგიალური.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულ სამ პროგრამას განუსაზღვრა ორი საერთო რეკომენდაცია:

1. პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროსშეფასების კონკრეტული მეთოდის/ კონკრეტული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულის მიხედვით და არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების მიხედვით.

2.საჭიროა პარტნიორ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების განხილვა, პრაქტიკის პროცესში მათი აქტიურად ჩართვის მიზნით.

ნანი არაბულმა ასევე ჩამოთვალა რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით, რომელიც განისაზღვრა შემდეგ ნაირად:

პირველ პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დაზუსტდეს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რათა ზუსტად განისაზღვროს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის გასაზომად იდენტიფიცირებული მესამე დონის სასწავლო კურსები.

2. პროგრამის სტრუქტურა გასწორდეს იმდაგვარად, რომ „მონაცემთა ბაზების საფუძვლები“ რომელიც არის სასწავლო კურსების: „მონაცემთა მეცნიერებისა და დიდი მონაცემების საფუძვლები“ და „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle“ წინაპირობა, არ ისწავლებოდეს ერთ სემესტრში.

3. სასწავლო კურსი „კომპიუტერული უნარები“ გადავიდეს არჩევით საგანთა ნუსხაში.

4. სასწავლო კურსში „მონაცემთა მეცნიერების საბაზისო ბიბლიოთეკები Python-ის ბაზაზე“ არის გადაკვეთები სასწალო კურსის „დაპროგრამების საფუძვლები python-ის ბაზაზე“ შინაარსთან. ორივე სასწავლო კურსში სწავლობენ numpy-ს. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში "დაპროგრამების საფუძვლები python-ის ბაზაზე" არ ისწავლებოდეს numpy მასივები და მის მაგივრად სასურველია დაემატოს შესავალი კლასებში.

5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „კომპიუტერის ორგანიზაციისა და არქიტექტურის საფუძვლები“ შინაარსში დაემატოს საკითხები მრავალბირთვიან არქიტექტურასთან, პროცესებთან, მაღალი დონის ენებთან, რეგისტრებთან და სხვა საკითხებთან მიმართებით თემატიკები.

6. რეკომენდირებულია პროგრამას ძირითად ბლოკში დაემატოს თეორიული კურსი მაგ. „კომპილატორები“, რომელშიც შეისწავლება კომპილატორების აგების თეორია და 8 პრაქტიკა პროგრამირების ენებისთვის ან აღნიშნული კურსის თემატიკები დაემატოს სავალდებულო თეორიულ კურსს.

7. სასწავლო კურსში „კიბერუსაფრთხოება“ დაემატოს სიმეტრიული და ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის ცნებები. დაიფაროს საკითხები ძირითადი ვებ სისუსტეების შესახებ. ძირითად ლიტერატურას მიეთითოს გამოშვების წლები.

მეორე პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დაზუსტდეს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რათა ზუსტად განისაზღვროს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის გასაზომად იდენტიფიცირებული მესამე დონის სასწავლო კურსები.
2. ჩასწორდეს პროგრამის აღწერილობა იმასთან მიმართებაში, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამაში არ არის ისეთი არჩევითი საგნების ბლოკი, სადაც ისწავლება მენეჯმენტის და მარკეტინგის მიმართულების სასწავლო კურსები, რაც აღნიშნულია პროგრამაში.
3. რეკომენდირებულია გაიზარდოს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა მაგ. ისეთი სასწავლო კურსების დამატებით, როგორებიცაა „ღრუბლოვანი გამოთვლები“, „საგანთა ინტერნეტი“, „მობილური აპლიკაციები“.
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „დაპროგრამება C++-ის ბაზაზე“ გადავიდეს მეორე სემესტრში და განხორციელდეს ლოგიკური ბმები Backend პროგრამირების ენების სწავლების კუთხით შემდეგი სემესტრებისთვისაც.
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსს „პროგრამირების ენა C#“ წინ უსწრებდეს მონაცემთა სტრუქტურების ან ალგორითმების კურსი.
6. „კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები 1“ სასწავლო კურსი ჩანაცვლდეს კურსით „UI/UX დიზაინი“ ან მსგავსი სასწავლო კურსით.
7. მომზადდეს და ბიბლიოთეკაში განთავსდეს კურსის „კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები 1" სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში მითითებული "სალექციო კონსპექტი ილუსტრაციებითა და განმარტებებით".
8. მომზადდეს და ბიბლიოთეკაში განთავსდეს კურსის „კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები 2" სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში მითითებული "სალექციო კონსპექტი ილუსტრაციებითა და განმარტებებით".

მესამე პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სავალდებულო საგანთა ნუსხაში არსებული საგანი „სამეცნიერო წერა“ გადავიდეს არჩევით საგანთა ნუსხაში.
2. გასწორდეს სასწავლო კომპონენტის სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა.
3. რეკომენდირებულია „ხელოვნური ინტელექტის მეთოდები და ალგორითმები“ სასწავლო კურსის ლიტერატურა შეიცვალოს უახლესი სასწავლო ლიტერატურით.
4. სასწავლო კურსის „ინფორმაციული უსაფრთხოება“ შინაარსი ორიენტირებული იყოს მონაცემთა უსაფრთხოებაზე.
5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს ინგლისური ენის B2 დონის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ფლობა ან ინგლისური ენის B2 დონის განმსაზღვრელი შიდა გამოცდის დამატება;
6. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს ბაკალავრიატში/უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურზე გავლილი ტექნიკური საგნები არანაკლებ 15 კრედიტისა ან პროგრამაზე მისაღები სპეციალობის გამოცდის საკითხები გაძლიერდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ნონა ზუმბაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კოლეგიალობისთვის. აღნიშნა, რომ პროგრამები ახალია და ესქპერტების აზრი მათთვის მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნა რომ მას შემდეგ რაც დასკვნა მიიღეს უნივერსიტეტში შექმნეს სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა არგუმენტირებული პოზიცია. საერთო რეკომენდაციების, პირველი რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის სამიზნე ნიშნულები გაწერილი აქვთ ყველა პროგრამისთვის. წარმოდგენილი პროგრამების

თითოეულ სილაბუსში ასახული, რომელი პრაქტიკული დავალებით ფასდება ესა თუ ის სწავლის შედეგი.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, პროგრამის შემუშავების პროცესში პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. გარდა ამისა, უსდს რეგულაციების თანახმად, მას შემდეგ რაც, პროგრამები იღებენ აკრედიტაციას, იქმნება, პროგრამების მრჩეველთა საბჭო, რომელშიც 3 დამსაქმებელიც შედის და მათი მოსაზრებებიც გაზიარებული ხდება უსდ-ს მხრიდან.
პირველი პროგრამა გახლავთ მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი. აქ პირველ და მეორე რეკომენდაციას სრულად იზიარებენ. გადაიხედა სწავლის შედეგების რუკა და მოვიდა შესაბამისობაში. „მონაცემთა ბაზების საფუძვლებიც“ გადავიდა მეორე სემესტრში.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, რომეო გალდავამ ისაუბრა მესამე რეკომენდაციაზე. თქვა რომ ეს არის საბაზისო კურსი, ის არის საფუძველი სხვა სასწავლო კურსების, შესაბამისად მიაჩნიათ რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო რჩევა და არა რეკომენდაცია. ამით არ არის დარღვეული პროგრამის მიზნები და შედეგები, პირიქით ხელს უწყობს შედეგების მიღწევას. რადგან ისეთი საწავლო კურსები როგორიც არის მონაცემეთა ბაზები, კომპიუტერული გრაფიკა და ა.შ. ამ სასწავლო კურსის გარეშე მათი ათვისება წარმოუდგენელია. შესაბამისად მიაჩნიათ, რომ ეს უნდა იყოს ძირითად სასწავლო კურსებში.
მონაცემთა მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, გულნარა ჯანელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ დაპროგრამების საფუძვლები პირველი წლიდან იწყება სადაც სტუდენტები შეისწავლიან Python-ს, აქ არ არის სხვა საშუალება მასივებთან სამუშაოდ, ამიტომ შეუძლებელია სტუდენტს წარმოდგენა არ ჰქონდეს მასივებთან მუშობაზე. რადგანაც Python-ს სხვა საშუალება არ აქვს, ამიტომ იყენებენ numpy-ე ბიბლიოთეკას სადაც ყველაფერი პირველი კურსისთვის არის გათვალისწინებული. ეს არის მხოლოდ ერთკვირიანი მასალა, ანუ ერთი მასალა, რომელიც შეტანილია ამ სილაბუსში. ხოლო რაც შეეხება ბიბლიოთეკებს, აქ სრულად გაწერილია ბიბლიოთეკები. numpy-ეს ეთმობა არა ერთი არამედ სამი კვირის მასალის დეტალური განხილვაა და სულ სხვა მიდგომებია გათვალისწინებული. რაც შეეხება ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებას აღნიშნა, რომ ეს მოსდევს დაპროგრამების საფუძვლებს რომელიც უნდა გაგრძელედეს შემდეგ სემესტრში და სტუდენტმა უნდა დაიწყოს უკვე ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამებით. ამ სასწავლო კურსის შესწავლას იწყებს სტუდენტი კლასებით და ობიექტებით დაპროგრამების საფუძვლებში კი არ მიაჩნია საჭიროდ შეტანილი იყოს კლასები და ობიექტები. მას მოჰყვება შემდეგი კურსი ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება, რომელიც იწყება ობიექტებით და კლასებით.
როგრამის ხელმძღვანელი ბესიკ ტაბატაძე მიესალმა დამსწრე საზოგადეობას, ისაუბრა მე-5 რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ ნაწილობრივ იზიარებენ ამ რეკომენდაციას. ჰქონდათ განხილვა სასწავლო კურსის წამყვან პროფესორებთან და ლექტორებთან. მაღალი დონის ენებთან დაკავშირებით ფიქრობენ რომ არ არის საჭირო აღნიშნული საკითხები დამატება რადგანაც მაღალი დონის ენები დამოუკიდებლადაც მრავლად არის განხილული აღნიშნულ სასწავლო პროგრამაში. შესაბამისად მათი შეტანა სასწავლო კურსში მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ. თუმცა სხვა საკიხების დამატება, როგორიც არის მაგალითად რეგისტრებთან მუშაობა, პროცესებთან მუშაობა გათვალისწინებული იქნება.
რაც შეეხება შემდეგ რეკომენდაციას, თქვა რომ აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმებიან და ვერ გაითვალისწინებენ შემდეგი მოსაზრების გამო: თავად მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი, რომელიც მონაცემთა მოპოვების დამუშავებასა და წარდგენაზეა ორიენტირებული, ამ შემთხვევაში ძირითადად პროგრამირების ენად აქვთ წარმოდგენილი პითონი, რომელიც ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე პოპულალური დაპროგრამების ენაა. შესაბამისად თავად პითონი არ არის კომპილირებადი ენა და ის არის ინტერპლეტირირებადი ენა, შესაბამისად კომპილატორების თეორიული საფუძვლები ამ ენასთან დაკავშირებით არ არის რელევანტური. ასევე დღევანდელ დღეს ტენდენცია ტექნოლოგიების განვითარების მიდის იქითკენ, რომ ყველა არსებული პროგრამირების ენები,

მათ შორის კომპილირებადი ენებიც, წარმოდგენილი იყოს ქლაუდებში. არ არის აუცილებლობა რომელიმე კომპიუტერში იყოს კომპილატორი და მისი გამოყენება შეძლოს მომხმარებელმა. შესაბამისად ფიქრობენ, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაითვალიწინებენ დღევანდელი ტენდენციებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც კომპილატორების საჭიროება არ დგას.
მეშვიდე რეკომენდაციაზე ლია კურტანიძემ აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციას ნაწილობრივ იზიარებენ, რადგან კიბესრუსაფრთოების სილაბუსებში გაწერილია კიპტოგრაფიის საკითხები ოღონდ თემებად არ არის ჩაშლილი, ითვალისწინებენ სიმეტრიულ ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიის ცნებებს, თუმცა არ არის ჩაშლილი, რასაც გამოასწორებენ.
ნონა ზუმბაძემ აღნიშნა, რომ 1,2,3,4 და 5-ე რეკომენდაციებს ითვალისწინებენ.
ლია კურტანიძემ ისაუბრა მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ფიქრობენ, რომ მათი პროგრამის მიზნებს და შედეგებს არანაირად არ უშლის ხელს რომ აღნიშნული კურსი უცვლელად იყოს, თუმცა მომავალში შესაძლოა გაითვალისწინონ კიდეც აღნიშნული რეკომენდაცია. რაც შეეხება 7 და 8 რეკომენდაციას, აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში არსებულია კონსპექტი, თუმცა არ არის ილუსტრირებული, რაშიც ეთანხმება ექსპერტებს. მაგრამ ილუსტრაციები მოცემულია სილაბუსებში არსებულ ლინკებზე საკმაოდ დეტალურად თემების მიხედვით, სამომავლოდ კი, შესაბამისი რიდერის მომზადებაც იგეგმება ამ კურსებისთვის.
ნონა ზუმბაძე შეეხო მესამე პროგრამის რეკომენდაციებსაც. აღნიშნა, რომ სამეცნიერო წერა უნივერსიტეტის ყველა სამაგისტრო პროგრამაში აქვთ სავალდებულო სასწავლო კურსად, რადგან სამეცნიერო წერა სტუდენტს ეხმარება სრულფასოვნად შეაარულოს სამაგისტრო ნაშრომი. გაითვალისწინეს ისიც, რომ ზოგიერთ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამიდან მოდიან სტუდენტები, რომლებსაც აკადემიური წერა არ აქვთ გავლილი, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი შესაბამისად თვლიან რომ ეს სავალდებულო სასწავლო კურსების ნუსხაში უნდა იყოს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გულნარა ჯანელიძემ საუბარი განაგრძო შემდეგ რეკომენდაციაზე - გასწორდეს სასწავლო კომპონენტის სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა. თქვა რომ უკვე დააკორექტირეს და შეიტანეს ცვლილება. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა „ხელოვნური ინტელექტის მეთოდები და ალგორითმები“ სასწავლო კურსის ლიტერატურა შეიცვალოს უახლესი სასწავლო ლიტერატურით. აღნიშნა რომ უკვე შეიძინეს და ჩაანაცვლეს. თუმცა თქვა, რომ სასწავლო კურსი არის სპეციფიური „ხელოვნური ინტელექტის მეთოდები და ალგორითმებში “ ასე სწრაფად არ ხდება მათი ცვლილება, ის სახელმძღვანელო რომელიც იყო მითითებული კურსში სრულიად რელევანტურად მიაჩნია, თუმცა როგორც უკვე აღნიშნა უახლესი ლიტერატურა შეიძინეს. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ სასწავლო კურსის „ინფორმაციული უსაფრთხოება“ შინაარსი ორიენტირებული იყოს მონაცემთა უსაფრთხოებაზე და აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა ყველა საკითხი ინფორმაციულ უსაფრთხოებაში გათვლილი არის მონაცემების დაცვისთვის.
ნონა ზუმბაძემ მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობაში კარგად არის გაწერილი, რომ დაშვების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო ნაშრომები, პლიუს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხო ენაში, თუმცა B2 დონის ფლობა და რა სერთიფიკატები უნდა ჰქონდეს, თქვა რომ ეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშია გაწერილი, თუმცა აღნიშნა რომ ამის ჩაწერა პროგრამაში პრობლემას არ წარმოადგენს და ჩაწერენ.
რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს ბაკალავრიატში/უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურზე გავლილი ტექნიკური საგნები არანაკლებ 15 კრედიტისა ან პროგრამაზე მისაღები სპეციალობის გამოცდის საკითხები გაძლიერდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად. თქვა რომ ამ რეკომენდაციაში ვერ გაერკვნენ, რადგანაც დაშვების წინაპირობაში მოქმედი რეგულაციებით 15 კრედიტიანი საგნების ათვისებას თუ განუმარტავენ ექსპერტები რას გულისხმობენ უფრო გასცემენ პასუხს. დაშვების წინაპირობა ისედაც არის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების სპეციალობაში, მათთან რეგულაციების თანახმად, სამაგისტრო პროგრამაზე ერთი თვით ადრე

ეს საგამოცდო საკითხები თავისი ლიტერატურით განთავსდებოდა ვებ-გვერდზე და დაშვების მსურველი ემზადება ამ საკითხების შესაბამისად მისაღები გამოცდებისთვის, მაგრამ 15 კრედიტის ათვისებაში ვერ გაიგეს რას გულისხმობდნენ ექსპერტები.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ნანი არაბულმა განმარტა, რომ მას შემდეგ რაც მიიღეს უნივერსიტეტისგან არგუმენტირებული პასუხი, შეეცადნენ რომ მეტად დაეზუსტებინათ რას გულისხმობდნენ უკვე საბოლოო დასკვნაში, თუმცა რადგან მაინც კითხვის ნიშანი დარჩა ამ საკითხთან დაკავშირებით ის ეცდება განმარტოს, თუ რა იგულისხმება მასში. ის საგნები რომლებიც ისწავლება აღნიშნულ პროგრამაზე იწყება მეორე დონიდან, ანუ ცოდნის დონე უკვე უნდა ჰქონდეს სტუდენტს, რომ ამ პროგრამაზე დაიწყოს სწავლება. ესაბამისად, ნებისმიერ სტუდენტს, მედიცინის პროგრამა დაამთავრა თუ ჰუმანიტარული მეცნიერებების, უფლება აქვს მოვიდეს და ისწავლოს ამ პროგრამაზე. ის საკითხები, რომლებიც უკვე შიგნით სასწავლო კურსში ისწავლება, შეუძლებელია ჰუმანიტარული ცოდნით სტუდენტმა დაძლიოს. თუმცა, ექსპერტებს არ სურთ, რომ შეუზღუდონ სხვა პროფესიის სტუდენტის მიიღება, იმიტომ რომ ნებისმიერს შეუძლია შეიცვალოს პროფესია და მისი ინტერესის სფერო გახდეს IT მიმართულება. ამიტომ უსდ-ს აძლევენ ორი არჩევანის საშუალებას - ერთი, რომ თუკი სტუდენტს ბაკალავრიატში, ან სხვა რომელიმე საფეხურზე აქვს გავლილი ტექნიკური საგნების მინიმუმ 15 კრედიტი, საშუალება მიეცეს, რომ ისწავლოს ამ პროგრამაზე, ან წინა საგამოცდო საკითხები გაძლიერდეს ამ კურსების შესაბამისად. იმიტომ რომ ის საკითხები, რომელიც მოწოდებული იქნა, არ არის იმ დონის, რომ ის საკითხების მცოდნე სტუდენტმა დაძლიოს შემდეგ ის საკმაოდ რთული საკითხები, რომელიც წარმოდგენილია ამ სამაგისტრო პროგრამაში.
ნათია ზედგენიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა - ფიქრობენ თუ არა ექსპერტები, რომ აღნიშნული მისაღები სპეციალიზაციის გამოცდები ძალზედ მარტივია და ნებისმიერი გამოცდილების მქონე მსურველს შეუძლია ჩააბაროს.
ამასთან დაკავშირებით, ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ ეს გამოცდები ნამდვილად გამარტივებულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნონა ზუმბაძემ თქვა, რომ აღიარება შეიძლება მოხდეს, მაგრამ ერთი საფეხურის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ბაკალავრიატის საგნების აღიარებას ვერ მოახდენენ. თუ მაგისტრატურა აქვს დამთავრებული და აქ მოდის მაგისტრატურაზე, აღიარება შეიძლება მოხდეს ერთი საფეხურის საგნებში. ამ შემთხვევაში მათთვის უფრო რელევანტურია გააძლიერონ მისაღები გამოცდები. ამ პროგრამაზე ჯერ არ ჰყავთ სტუდენტები, ახლა უნდა მიიღონ შესაბამისად, ამ საკითხზეც იმუშავებენ.
ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ რადგანაც პროგრამა ახალია და ინსტიტუციას ამ მიმართულებით პირველად შეაქვს პროგრამები ძნელია ისაუბრა თუ როგორ მუშაობს ეს ყველაფერი. სწორედ ამიტომ საუკეთესო პრაქტიკებიდან იქნა ეს რეკომენდაციები გაცემული.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის თემატიკა რაც წარადგინეს, მონახაზი იყო. გამოცდამდე ჯერ დრო არის და რა საკვირველია ის გამდიდრდება.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
აბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა დამაზუსტებელი კითხვა დაწესებულებასთან - ერთ-ერთ პროგრამაში ჩართულია აკადემიური პერსონალი მოწვეული პერსონალის სახით, ვარშავის მენეჯმენტის უნივერსიტეტიდან, მან ითხოვა დაზუსტება, თუ რა ფორმატში იმუშავებს ის. ხოლო მეორე კითხვა დასვა სამაგისტრო პროგრამაში სამეცნიერო წერის შესახებ მოცემულ რეკომენდაციაზე. როდესაც გაეცნო სილაბუსს, თქვა რომ ეს არის ჩვეულებრივი სამეცნიერო წერის სილაბუსი, რაც ყველა მიმართულებაზე შეიძლება იკითხებოდეს. ხომ არ ფიქრობენ, რომ დარჩება ის სავალდებულო საგნების ნუსხაში, თუ გადავა არჩევითი საგნების ნუსხაში; უმჯობესია სამეცნიერო წერის სილაბუსის გადამუშავება იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ამ კონკრეტულ მიმართულებას გააჩნია. თუ ფიქრობენ ამ მიმართულებით რაიმე ცვლილების განხორცილებას?

ქეთევან ქუთათელიძე, დასვა დამაზუსტებელი კითხვა ექსპერტებთან - კლასტერულ რეკომენდაციაში მითითებულია, რომ კონკრეტული სწავლის შედეგის გაზომვა და შესაბამის სამიზნე ნიშნულად გამოიყენება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, ექსპერტთა აზრით რეკომენდირებულია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს შეფასების კონკრეტული მეთოდების აქტივობისათვის განსაზღვრული ქულის მიხედვით. ეს ეხება ყველა პროგრამის სასწავლო შედეგს, თუ ეხება კონკრეტულად რომელიმე სწავლის შედეგს?
კრედიტაციის ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ მათი ეს რეკომენდაცია ეფუძნება თავად დაწესებულების მიერ შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია განათლების განვითარების ხარიხის ეროვნული ცენტის მიერ შემუშავებულ აკრედიტაციის სახელმძღვანელოში. სადაც პირდაპირ არის რეკომენდირებული, რომ მიზანშეწონილია კონკრეტული სწავლის შედეგის, იგულისხმება პროგრამის სწავლის შედეგი, შეფასების დროს არ იყოს გამოყენებული საბოლოო შეფასება. სწორედ ამიტომ არის გაცემული ამ სახელმძღვანელოს მიხედვით რეკომენდაცია, რომ შერჩეული იქნას თითოეული სწავლის შედეგისთვის კონკრეტული აქტივობა. ეს მეთოდოლოგია დაწესებულებისთვის ნაცნობი არის.
ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და აღნიშნა, რომ სტუდენტი რადგანაც სამაგისტრო ნაშრომს წერს და უნდათ რომ მისი ნაშრომი იყოს ხარისხიანი, ანუ ის პასუხობდეს ყველა იმ სამეცნიერო გამოწვევას, რომელიც არსებობს, აუცილებელია ეს საგანი იყოს სავალდებულო. ექსპერტებს ჰქონდათ ასევე რამდენიმე მითითება რაც შემდეგი შინაარსის იყო: აკადემიური წერა ისწავლება საბაკალავრო დონეზე და შესაძლოა მეორდებოდეს საკითხები, მაგალითად პლაგიატთან მიმართებით. მათ დაადარეს ეს ყველაფერი და შესაძლოა ეს იყოს იმის საფუძველი, რომ გამეორება აღარ იყოს საჭირო. აღნიშნა, რომ ყველა უნივერისტეტში არ ისწავლება აკადემიური წერა სავალდებულოდ და ისინი ასევე ელოდებიან სტუდენტებს სხვა უნივერსიტეტებიდან, ამიტომ სურთ სტუდენტებს დახვდეთ ის საგანი, რათა სამეცნიერო კვლევა აუცილებლად საფუძვლიანად შეისწავლონ. მაგალითად პლაგიატი პლაგიატია, მაგრამ ყველა საფეხურზე სხვადასხვა საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული. უსდ-მ შესაძლოა მიიღონ სხვადასხვა ფაკულტეტიდან და მიმართულებიდან სტუდენტები, იფიქრეს ხომ არ შესთავაზონ მათ სპეციფიკური საკითხები სამეცნიერო წერასთან დაკავშირებით. თუმცა მსჯელობის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ სტანდარტული სამეცნიერო წერის ძირითადი საფუძველები, რაც არის ის შესთავაზონ. ყველა სამაგისტრო საფეხური ამზადებს სტუდენტს, რომ მან შემდგომ შეძლოს სადოქტორო ნაშრომის შექმნა. ამიტომ ფიქრობენ, რომ ზოგადი სამეცნიერო წერის საფუძვლები, რომელსაც ისინი სთავაზობენ, მიზანშეწონილი იქნება ამ კურსზე შესთავაზონ.
მეორე კითხვაზე ნონა ზუმბაძემ აღნიშნა, რომ ვარშავის უნივერსიტეტიდან მათ ჰყავთ რამდენიმე პროფესორი მოწვეული, როგორც ბიზნესის, ასევე IT მიმართულებით. ის ბლოკჩეინის სასწავლო კურსს კითხულობს, მოწვეული ლექტორია და წინა სემესტრში ჩამოსული იყო ბიზნესის მიმართულებით სასწავლო კურსის წასაკითხად. შესაბამისად ამის გამოცდილება უნივერსიტეტს აქვს.
აბჭოს წევრი თინათინ ჭაბუკიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ გაეცნო სამეცნიერო წერის სილაბუსს და 6 თემა მთლიანად ეთმობა აკადემიურ წერას. ესენია წერა, შესავალი, ნაშრომის ტექნიკა, პრეზენტაციები მე-15 კვირას კი შეჯამება. ასევე გაეცნო აკადემიური წერის სილაბუსს ქეთევან ნიჟარაძის საბაკალავრო პროგრამაზე, სადაც დასაწყისში აკადემიურ წერაზეა საუბარი, მე-7 თავიდან კი, მთლიანად კურსი ეთმობა სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურას და დრამატურგიულად კარგად არის ჩამოყალიბებული. აღნიშნა, რომ სამეცნიერო წერაში მეტი განსხვავება უნდა იყოს. კითხვა მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო წერა რატომ უნდა იყოს, რადგან არ მოიცავს კონკრეტულად ამ თემატიკას?
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ფირცხალაშვილმა განმარტა, რომ მათ სამეცნიერო წერასთან ერთად განსხვავებით ბაკალავრიატისგან კვლევის მეთოდებსაც სთავაზობენ. რაც ავსებს ერთმანეთს შესაბამისად კვლევის მეთოდები, რომელიც სამაგისტრო დონეზეა

შეთავაზებული ის სტუდენტმა არ იცის საბაკალავრო დონეზე. აღნიშნა, რომ რადგანაც სტუდენტებს ელოდებიან სხვა უნივერსიტეტებიდან და ყველგან არ ისწავლება აკადემიური წერა, ამიტომ თავი დაიზღვიეს და ამ სტუდენტებსაც სთავაზობენ ამ კურსს.
ნათი ზედგენიძემ დასვა კითხვა, კლასტერულ რეკომენდაციაზე, რომელიც მემორანდუმების საკითხს ეხება. ომლის მიხედვით, პრაქტიკის პროცესში მათი აქტიურად ჩართვის მიზნით, უნდა მოხდეს პარტნიორებთან მათი თანამშრომლობა და ა.შ. აღნიშნა, რომ გადახედა მემორანდუმებს და გაუჩნდა კითხვა, თუ რა იყო ხარვეზი, რომელიც ექსპერტებმა დაინახეს რამაც განაპირობა ეს რეკომენდაცია კლასტერული სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.
მეორე კითხვა დასვა "მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც ეხება 7-ე რეკომენდაციას კონკრეტულად კომპილატორების თემას. ინსტიტუციამ თქვა, რომ პითონთან მიმართებით კომპილატორები არ არის რელევანტური, მაშინ როდესაც, რეკომენდაციაში საუბარია კომპილატორის დამატებაზე. ჩნდება კითხვა, კომპილატორის გარეშე ეს კონკრეტული სასწავლო კურსი ვერ გადის სწავლის შედეგზე?
ასევე ნათია ზედგინიძემ იკითხა, მაღალი დონის ენებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც ინსტიტუცია ამბობს, რომ არ უნდათ მაღალი დონის ენები. ექსპერტებს მიმართა კითხვით მის გარეშე ხარვეზს მიიღებენ, თუ მათთვისაც მისაღებია ინსტიტუციის პოზიცია კონკრეტულად ამ მაღლი დონის ენებთან დაკავშირებით.
ნანი არაბულმა თქვა, რომ როდესაც მათ შეხვედრა ჰქონდათ დამსაქმებლებთან, წარმოდგენილი იყო 5 ორგანიზაციის წარმომადგენელი, საიდანაც სამმა საერთოდ არ იცოდა, რომელ პროგრამაზე იყო სასაუბროდ მოწვეული და პირიქით, აქეთ უსვამდნენ კითხვებს, მოხდებოდა თუ არა მათთან პრაქტიკის გატარება და სხვა. სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია.
რაც შეეხება არქიტექტურის და მაღალი დონის ენებს, აღნიშნა, რომ მაღალი დონის ენები ისწავლება, თუმცა რეკომენდაციის აღწერილობით ნაწილში წერია, რომ არქიტექტურაში შეისწავლოს თუ როგორ არის მაღალ დონის ენებთან ურთიერთქმედება. ნათქვამია ჩაემატოს ამ ტიპის თეორიული საკითხები და არა მაღალი დონის ენები. უმჯობესია არქიტექტურაში იყოს თეორიული საკითხი, რომელიც მოიცავს მაღალი დონის ენების არქიტექტურულ თეორიას და ამის შესწავლა იყოს შესაძლებელი.
მაქსიმ იავიჩი შეეხო კომპილატორებს და აღნიშნა, რომ ძირითადად ყველაფერი პითონის ენაზე არის დაფუძნებული, პითონის ენა არ არის კომპილირებადი ენა, ეს არის ინტერპრეტირებადი ენა. მაგრამ პროგრამა არის კომპიუტერული მეცნიერებების, ეს არ არის პროგრამა, სადაც ადამიანმა უნდა იცოდეს მხოლოდ პითონი. სტუდენტმა უნდა იცოდეს კომპიუტერული მეცნიერება, უნდა იცოდეს როგორ მუშაობს კომპილატორი, უნდა შეეძლოს რევერსიული ინჟინერია. თუ მიიღებენ სტუდენტს, რომელმაც არ იცის კომპილატორი როგორ მუშაობს, იგი ის სხვა ენაზე ვერ გადავა.
ნონა ზუმბაძემ დააზუსტა, რომ უპასუხა კითხვას მემორანდუმებზე.აღნიშნა, რომ წარმოდგენილი უხერხულობა შეიქმნა იქიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკის ობიექტის ის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული ამ პროგრამაში, ვერ მოვიდა და გამოაგზავნა ის ორი თანამშრომელი, რომლებმაც არ იცოდნენ დეტალები და სწორედ ამიტომ მოხდა ეს გაუგებრობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:04 სთ
დასრულების დრო: 15:29 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "მონაცემთა მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიულიპირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "მონაცემთა მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 31/12/2025, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რათა ზუსტად განისაზღვროს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის გასაზომად იდენტიფიცირებული მესამე დონის სასწავლო კურსები.
- პროგრამის სტრუქტურა გასწორდეს იმდაგვარად, რომ „მონაცემთა ბაზების საფუძვლები“ რომელიც არის სასწავლო კურსების: „მონაცემთა მეცნიერებისა და დიდი მონაცემების საფუძვლები“ და „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle“ წინაპირობა, არ ისწავლებოდეს ერთ სემესტრში.
- სასწავლო კურსში „მონაცემთა მეცნიერების საბაზისო ბიბლიოთეკები Python-ის ბაზაზე“ არის გადაკვეთები სასწავლო კურსის „დაპროგრამების საფუძვლები python-ის ბაზაზე“ შინაარსთან. ორივე სასწავლო კურსში სწავლობენ numpy-ს. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში "დაპროგრამების საფუძვლები python-ის ბაზაზე" არ ისწავლებოდეს numpy მასივები და სასურველია დაემატოს შესავალი კლასებში.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „კომპიუტერის ორგანიზაციისა და არქიტექტურის საფუძვლები“ შინაარსში დაემატოს საკითხები მრავალბირთვიან არქიტექტურასთან, პროცესებთან, მაღალი დონის ენებთან რეგისტრებთან და სხვა საკითხებთან მიმართებით თემატიკები.
- რეკომენდირებულია პროგრამას ძირითად ბლოკში დაემატოს თეორიული კურსი მაგ. „კომპილატორები“, რომელშიც შეისწავლება კომპილატორების აგების თეორია და პრაქტიკა პროგრამირების ენებისთვის ან აღნიშნული კურსის თემატიკები დაემატოს სავალდებულო თეორიულ კურსს.
- სასწავლო კურსში „კიბერუსაფრთხოება“ დაემატოს სიმეტრიული და ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის ცნებები. დაიფაროს საკითხები ძირითადი ვებ სისუსტეების შესახებ. ძირითად ლიტერატურას მიეთითოს გამოშვების წლები.

- პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს შეფასების კონკრეტული მეთოდის/კონკრეტული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულის მიხედვით და არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების მიხედვით.

რჩევები:

- სასურველია, მოწვეული პერსონალი, საკუთარი სილაბუსების მომზადების გარდა, ასევე, ჩართული იყოს პროგრამის შემუშავების პროცესში.
- სამომავლოდ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად უსდ-მ დააინტერესოს პერსონალი იმგვარად, რომ დარგობრივმა პროფესორებმა, ვინც უძღვება სამ ან მეტ საგანს, სხვა უსდ-ებში შეამცირონ დატვირთვები შეძლებისდაგვარად.
- სასურველია, კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილ კომპიუტერულ კლასებში გაუმჯობესდეს კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები - გაიზარდოს ოპერატიული მეხსიერება 8-დან 16-მდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 31/12/2025, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს შეფასების კონკრეტული მეთოდის/კონკრეტული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულის მიხედვით და არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების მიხედვით.
- დაზუსტდეს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რათა ზუსტად განისაზღვროს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის გასაზომად იდენტიფიცირებული მესამე დონის სასწავლო კურსები.

- ჩასწორდეს პროგრამის აღწერილობა იმასთან მიმართებაში, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამაში არ არის ისეთი არჩევითი საგნების ბლოკი, სადაც ისწავლება მენეჯმენტის და მარკეტინგის მიმართულების სასწავლო კურსები, რაც აღნიშნულია პროგრამაში.
- რეკომენდირებულია გაიზარდოს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა მაგ. ისეთი სასწავლო კურსების დამატებით, როგორებიცაა „ღრუბლოვანი გამოთვლები“, „საგანთა ინტერნეტი“, „მობილური აპლიკაციები“.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „დაპროგრამება C++-ის ბაზაზე“ გადავიდეს მეორე სემესტრში და განხორციელდეს ლოგიკური ბმები Backend პროგრამირების ენების სწავლების კუთხით შემდეგი სემესტრებისთვისაც.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსს „პროგრამირების ენა C#“ წინ უსწრებდეს მონაცემთა სტრუქტურების ან ალგორითმების კურსი.
- მომზადდეს და ბიბლიოთეკაში განთავსდეს კურსის „კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები 1" სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში მითითებული "სალექციო კონსპექტი ილუსტრაციებითა და განმარტებებით".
- მომზადდეს და ბიბლიოთეკაში განთავსდეს კურსის „კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები 2" სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში მითითებული "სალექციო კონსპექტი ილუსტრაციებითა და განმარტებებით". **რჩევები:**

- კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები 1“ სასწავლო კურსი ჩანაცვლდეს კურსით „UI/UX დიზაინი“ ან მსგავსი სასწავლო კურსით.
- სასურველია, სასწავლო კურსში „დაპროგრამება C++-ის ბაზაზე“ საკითხები არ იყოს შესავალი დონის და უფრო გაღრმავდეს რთული საკითხებით. "
- სასურველია, მოწვეული პერსონალი, საკუთარი სილაბუსების მომზადების გარდა, ასევე, ჩართული იყოს პროგრამის შემუშავების პროცესში.
- სამომავლოდ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად უსდ-მ დააინტერესოს პერსონალი იმგვარად, რომ დარგობრივმა პროფესორებმა, ვინც უძღვება სამ ან მეტ საგანს, სხვა უსდ-ებში შეამცირონ დატვირთვები შეძლებისდაგვარად.
- სასურველია, კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილ კომპიუტერულ კლასებში გაუმჯობესდეს კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები - გაიზარდოს ოპერატიული მეხსიერება 8-დან 16-მდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 31/12/2025, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს შეფასების კონკრეტული მეთოდის/კონკრეტული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულის მიხედვით და არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების მიხედვით.
- გასწორდეს კვლევითი კომპონენტის - სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა.
- რეკომენდირებულია „ხელოვნური ინტელექტის მეთოდები და ალგორითმები“ სასწავლო კურსის ლიტერატურა შეიცვალოს უახლესი სასწავლო ლიტერატურით.
- სასწავლო კურსის „ინფორმაციული უსაფრთხოება“ შინაარსი ორიენტირებული იყოს მონაცემთა უსაფრთხოებაზე.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს ინგლისური ენის B2 დონის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ფლობა ან ინგლისური ენის B2 დონის განმსაზღვრელი შიდა გამოცდის დამატება.
- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მისაღები სპეციალობის გამოცდის საკითხები გაძლიერდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად.

რჩევები:

- სასურველია პროგრამის არჩევითი ბლოკი გაძლიერდეს ბიზნესის რაიმე ფუნდამენტური დისციპლინითაც, რაც ასევე რეკომენდირებულია გარე ექსპერტის დასკვნაშიც.
- სასურველია, მოწვეული პერსონალი, საკუთარი სილაბუსების მომზადების გარდა, ასევე, ჩართული იყოს პროგრამის შემუშავების პროცესში.
- სამომავლოდ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად უსდ-მ დააინტერესოს პერსონალი იმგვარად, რომ დარგობრივმა პროფესორებმა, ვინც უძღვება სამ ან მეტ საგანს, სხვა უსდ-ებში შეამცირონ დატვირთვები შეძლებისდაგვარად.
- სასურველია, კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილ კომპიუტერულ კლასებში გაუმჯობესდეს კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები - გაიზარდოს ოპერატიული მეხსიერება 8-დან 16-მდე.

მეორე საკითხი - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 08/02/2022, №124366
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება /Architecture and Town Planning
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, №2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ლევან ნიკოლეიშვილმა და გოდერძი ბუჩაშვილმა.
შესაბამისად აკრედიტაციის დებულების მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვნელა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტი ირმა ღარიბაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციის შესრულების თაობაზე. აკრედიტაციის საბჭომ დააკმაყოფილა სააკრედიტაციო განაცხადი და არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2029 წლის 25 იანვრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. აკრედიტაციის საბჭომ განსაზღვრა 3 რეკომენდაცია და 7 რჩევა.
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაბამისობები შეფასდა შემდეგნაირად:
1, 3, 4 და 5 სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.
პირველ სტანდარტთან მიმართებით გაწერილი რეკომენდაცია ექსპერტის შეფასებით გათვალისწინებულია. მეორე სტანდარტთან მიმართებით გაწერილი რეკომენდაციაც გათვალისწინებულია. მესამე რეკომენდაცია, რომელიც ასევე ეხება მე-2 სტანდარტს, გათვალისწინებულია.
რაც შეეხება რჩევებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში რჩევებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იქნა მოძიებული. ესაბამისად, ექსპერტის მიერ შეფასდა, როგორც არ იქნა გათვალისწინებული. შეჯამებისათვის,სამივე რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნინო ჯოჯუა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ნამდვილად შესრულებულია რისი დოკუმენტაციაც წარდგენილია. რჩევები რა თქმა უნდა არაა სავალდებულო ხასიათის, თუმცა აღნიშნა, რომ რჩევა გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია და ვებგვერდზეც არის ატვირთული მისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა როგორც მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35 სთ
დასრულების დრო: 15:40 სთ
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

მესამე საკითხი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მუშაობის" სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების

განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მუშაობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30/9/2011, №90
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მუშაობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0923 - სოციალური მუშაობა და კონსულტაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ირინე ებრალიძემ და მარინა მაისურაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტი სალომე ნამიჭეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლეოდა საშუალებას დაედგინათ შესაბამისობები კვალიფიკაციის ჩარჩოსა და კლასიფიკატორთან. შემდეგ მათ გამოითხოვეს სხვადასხვა დოკუმენტები დაწესებულებიდან და მიიღეს ისინი. ექსპერტთა აზრით, პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის პირველი პროგრამა სოციალურ მუშაობაში საქართველოში. მისი მნიშვნელოვნება ხაზგასმულია სამუშაო ბაზარზე. საქართველოში დეფიციტია სოციალური მუშაკების კვალიფიციური კადრების.

შეფასებისას გამოიკვეთა, რომ სამივე სტანდარტთან მიმართებით აღნიშნული პროგრამა შესაბამისია. შესაბამისად, რეკომენდაციები არ აქვთ წარმოდგენილი რაც სავალდებულო ხასიათს ატარებს პროგრამისთვის, მაგრამ აქვთ რამდენიმე რჩევა. პროგრამის ძლიერი მხარე არის ამ სამაგისტრო პროგრამის ორიენტაცია და ფოკუსი სოციალურ მუშაკებში კვლევითი კომპეტენციების განვითარებაზე. პროგრმაში არის რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი კურსი, რაც კომპეტენციების მიღწევაში ეხმარება სტუდენტს. ასევე აღსანიშნავია, როგორც ძლიერი მხარე პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი. სოციალური მუშაობა ეს არის პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია, შესაბამისად ამ სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

რაც შეეხება რჩევებს, ერთი მათგანი ეხება სოციალური მუშაობის არჩევითი კურსების გამრავალფეროვნებას, მათი აზრით ეს შესაძლებელია უფრო მცირე კრედიტიანი კურსების შეთავაზება, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მრავალფეროვანი არჩევანი ჰქონდეთ და მათი ინტერესების შესაბამისად აირჩიონ კურსები. ასევე სასურველია (მნიშვნელოვანია) არსებობდეს ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალი, სადაც სოციალური მუშაობის სტუდენტები შეძლებენ სტატიების გამოქვეყნებას. და ბოლოს, ასეევე სასურველია სოციალურ მუშაობაში დოქტორანტების წახალისება და მხარდაჭერა, რათა მათ დისერტაციის დაცვის შემდეგ მოხდეს ინტეგრაცია და გაამდიდრონ პროგრამის აკადემიური პერსონალი.

ექსპერტმა ნათელა ფარცხალაძემ ასვე ხაზი გაუსვა ამ პროგრამის მნიშვნელობას ქვეყნისთვის.

გოდერძი ბუჩაშვილმა დაუსვა კითხვა ექპსპერტს ბოლო რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სოციალურ მუშაობაში დოქტორანტების წახალისებას და მხარდაჭერას, რათა მათ დისერტაციის დაცვის შემდეგ გაამდიდრონ პროგრამის აკადემიური პერსონალი. სად დაინახეს დოქტორანტის წახალისების საჭიროება. აღნიშნა, რომ ამ კურსს ისედაც დოქტორის ხარისხის მქონე ხალხი კითხულობს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგანაც ეს ახალი დისციპლინაა ზოგადად მწირია საქართველოში სოციალურ მუშაობაში დოქტორების რაოდენობა(მხოლოდ 2-3 ადამიანია). აქედან გამომდინარე კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმ დოქტორანტებს, რომლებიც დღეს სწავლობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, აქტიური ჩართვა მოხდეს სწავლების პროცესში. ეს არის სპეციფიური კონტექსტი, რითაც არის განპირობებული ეს რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მაკა ლაშხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დოკუმენტების დაწვრილებითი შესწავლისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელი შორენა საძაგლიშვილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დოკუმენტების დაწვრილებითი შესწავლისთვის. რაც შეეხება რჩევას, ისინი ნამდვილად ფიქრობენ იმაზე, რომ მათი დოქტორანტები რა თქმა უნდა აქტიურად იყვნენ ჩართულები პროგრამაში. ამჟამად ისინი ჩართულნი არიან, როგორც

მოწვეული ლექტორები. მომავალში კი ეს სტაბილურ სახეს მიიღებს და მათი აკადემიის წევრები გახდებიან. დოქტორანტები სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობით მუშაობენ სხვადასხვა ახალ კურსებზე, მომავალი სემესტრიდან კი იგეგმება ახალი კურსები ჩაეშვას სამაგისტრო პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:05 სთ

დასრულების დრო: 16:10 სთ

საბჭოს თავმჯდომარე მკენჭისყრა ზედააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მუშაობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მუშაობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (საერთაშორისო)” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2/15/2022, №151119
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 Electronics and Automation ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	244
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ირინე ებრალიძემ და მარინა მაისურაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
მანანა ხაჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ რეკომენდაცია 10 პუნქტად იყო წარმოდგენილი აქედან მხოლოდ 1 არ იქნა გათვალისწინებული, რასაც გააჩნია ობიექტური მიზეზი. პროგრამა წარდგენილი იყო იმ ფორმით აკრედიტაციაზე, ხოლო ამ ფორმით რომ შეეცვალათ გარკვეული წინააღმდეგობები იქნებოდა. თუმცა ის ზოგადი აღწერა რაც არის ხელს არ უშლის არაფერს. სხვა მხრივ ყველაფერი შესაბამისია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პაატა გოგიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და აღნიშნა, რომ ყველა პუნქტი სკურპულოზურად შეისწავლეს და გაითვალისწინეს. პირველის გათვალისწინება კი ვერ შეძლეს რაზეც ექსპერტმა უკვე ისაუბრა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა .
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:20 სთ
დასრულების დრო: 16:25 სთ
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: . სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (საერთაშორისო) " ინგლისურენოვანსაბაკალავრო საგანმანათლებლო პროგარმაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (საერთაშორისო)" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

მეხუთე საკითხი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10.08.2016, №87
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა საკაძის ქ. №1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძემ , გურანდა ჭელიძემ , მარინა მაისურაძემ და ლაშა ჩხარტიშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
უმაღლესი განათლების ექსპერტი, თინათინ გაბრიჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა შეფასდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშის, საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების, ასევე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე.
პროგრამა შეფასდა სამ სტანდარტთან მიმართებით 1,2, და 4. სამივე სტანდარტთან პროგრამა შეფასდა როგორც სრულ შესაბამისობაში. არ გაცემულა არცერთი რეკომენდაცია. გაიცა მხოლო განმავითარებელი რჩევები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
აწესებულების წარმომადგენელი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. ისაუბრა რჩევაზე ბროშურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბროშურაში ძველი, ხოლო პროგრამაში ახალი ინფორმაცია გამოწვეულია იმით, რომ ეს სიახლე ამ საქმის წარმოების ფარგლებში განხორციელდა და თუ დღეს საბჭო დავუდასტურებს, ვებ-გვერდზეც ასახავენ ცვლილებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:35 სთ
დასრულების დრო: 16:40 სთ
საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს კავკასიის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეექვსე საკითხი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის "აღმოსავლეთმცოდნეობის" საბაკალავრო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აღმოსავლეთმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	782154, 08/07/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ახლო ან შუა აღმოსავლეთის კვლევების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ

		მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
კრედიტაციის ექსპერტი დარეჯან გარდავაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ამ პროგრამის შესაფასებლად აკრედიტაციის ვიზიტზეც იმყოფებოდა, მას შემდეგ რაც დასკვნა დაიწერა აკრედიტაციის საბჭომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შემუშავებული ამ პროგრამის მიმართ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შეივსო, რჩევები საბოლოო გადაწყვეტილებაში გადმოვიდა რეკომენდაციაში.
ახლა კი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ეს რეკომენდაციები არის სრულად გაზიარებული და შესრულებული. შესრულებაში გულისხმობს ახალი სასწავლო კურსების ჩართვას პროგრამაში, რომელსაც კვალიფიკაცია თხოულობდა და ამ მიმართულებით გაძლიერებას და შესაბამისი ინფორმაციის ასახვას მიზან-შედეგებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
აწესებულების წარმომადგენელი თინა ღუდუშაური მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. როგორც ექსპერტმა უკვე ახსენა, მათ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:45 სთ

დასრულების დრო: 16:50 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "აღმოსავლეთმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს საქართველოს უნივერსიტეტის "აღმოსავლეთმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა - 17:00 სთ-ზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი